წელიწადი მეოთხე — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 9 იანვარი 1916 წ. — № 6

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 1 სტატიად ლირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიაროო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

1916 წ. წელიწადი მეოთხე

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მოწერათათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) **სალიტერატურო კრებული „მერანი“** გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) **საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა** კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გაგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) **და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.**

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

1916 წ. — წელიწადი მეოთხე

პირველი წელი — **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება ხელის მოწერა — **ყოველ-კვირეული**

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ს **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. **ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.**

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კავკავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ 1 იანვრიდან საბირო კავკავის ქართულ სკოლაში

ერთი მასწავლებელი

მსურველებმა თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გამოგზავნონ კავკავის განყოფილების გამგეობაში. მასწავლებელს ექნება **თვეში თავისი ბინით ექვსი თუმანი.**

(3—26—1)

ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 10 იანვარს, დილის 11 საათზე, კლუბის შენობაში (მიხეილოვის პროსპეკტი სახლი № 129 ბარტისა) გაიმართება

საგანგებო კრება

სხვა და სხვა კითხვების განსახილველათ

(2—25—1)

ომის ამბები

ომის დეპეშები

8 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 7 იანვარი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. დვინსკის რაიონში რუსის არტილერია მარჯვედ ესვროდა მტრის მწკრივად წამოსულ ჯარებს, რომელინც შლოსბერგს დასავლეთით უვლიდნენ. გალიციაში, შუა სტრიპზე, რუსებმა ხელი შეუშალეს მტერს, რომ მათს თხრილებს მიახლოვებოდნენ. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რანჩეს რაიონში რუსებმა აიღეს მტრის პოზიციების ნაწილი. ამ ადგილების დასაბრუნებლად მტერმა ხუთჯერ კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ მოიგერეს და დიდი ზარალიც მიაყენეს.

შავი ზღვა. 4 იანვარს რუსის ნაღმოსნები ეწვიენ ანატოლიის აღმოსავლეთ ნაპირებს, მოსპეს 163 იალქნიანი ნავი, რომელთაგან 73 დატვირთული იყო სურსათით. 31 კაცი წამოიყვანეს ტყვედ. დანარჩენები რუსთა ნაღმოსნების დანახვაზე ნაპირისაკენ გაიქცნენ.

კავკასიის ფრონტი. რუსები ოსმალთა ჯარების დევნას განაგრძობენ. მიუხედავად მტრის ჯართა უმრავლესობისა და უგზოობისა, კავკასიის ჯარებმა სძლიეს ყოველგვარს დაბრკოლებას და იერიშს სასურველად ავითარებენ. პოზიციებიდან გადარეკილი მტრის ჯარები დიდის ზარლით იხევენ. რუსებს დავლად რჩებათ მრავალი მასალა, აზრუმის მიმართულებით აიღეს ქეფრიკეს სიმაგრე.

ხელმწიფე იმპერატორმა ამ გამარჯვების გამო მის უდიდებულესობის გულითადი მადლობა გარდაუხადა აქ მოქმედ ჯარებს.

რომი, 6 იანვარი. კიეზეს ღელეში დღისით 4 იანვარს მტრის არტილერიამ ცეცხლი გააჩინა ჩიმეგოში, რაიც სწრაფად ჩაქრობილ იქმნა. ამის საპასუხოდ ჩვენმა არტილერიამ სტრადუს დაუშინა, თუმცა იგი ისევ მტერს უკავია. სუმანოს ღელეში მტრის საპასუხოდ ავაბმაურედ არტილერია, შემდეგ რკინის გზის სადგურს დაუშინეს, სადაც მტრის სამხედრო მატარებლების მოძრაობა იქმნა შემჩნეული. კოლმინოს სექტორში, ღამით 5 იანვარს, მტრის ერთი რაზმი შეეცადა იერიშით წამოსულიყო ჩვენს ერთს საველე სიმაგრეზე სანტამარიის მწვერვალებთან, მაგრამ დაუყოვნებლივ უკუგდებულ იქმნა. აქ 30 კაცი დასტოვეს მოკლული. იმავ ღამეს „188“ მწვერვალისა და ოსლავის შუა მტრის რაზმები შეეცადნენ ჩვენს პოზიციებზე მოსულიყვნენ, მაგრამ ადვილად მოვიგერიეთ. კარსოზე არაფერი შესამჩნევი არ მომხდარა.

ლონდონი, 6 იანვარი. პრეტორიიდან იტყობინებიან, ეგვიპტეში უკვე სამხრეთ- აფრიკის ბრიგადა მოვიდაო.

თეირანი, 6 იანვარი. ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან, ისპაჰანში მტერმა მოაწყო პატრონების საკეთებელი ქარხანა, რომელიც დღე და ღამ შეუწყვეტლივ მუშაობდა. ქარხანას მეთვალყურეობას უწევენ გერმანელები.

ლონდონი, 6 იანვარი. ინგლისელთა 16 ჰაეროპლანი თავს დაესხა მტრის სასურსათო საწყობებს ლესარში და საკმაო ზარალიც მიაყენეს. იმავე დღეს რამოდენიმე შეტაკება მოხდა ჰაერში. მტერმა 2 ჰაეროპლანი დაჰკარგა, ჩვენ ერთი. 5 იანვარს მტერმა 2 ნაღმი ააფეთქა, მაგრამ არავითარი ზიანი არ მოუყენებია. დღეს რამდენიმე ადგილას მარჯვედ ვესვროდით მტრის თხრილებს. შეღამებისას ჩვენი რაზმის ერთმა ნაწილმა გაითარეშა მტრის სანგრებისკენ მდ. ლისის სამხრეთით და რამდენიმე ტყვე წამოიყვანა. ჰოჰენცოლერნის სიმაგრის მახლობლად მტერმა ნაღმი ააფეთქა, მაგრამ ზარალი არ მოგვსვლია. მტრის არტილერიამ საკმაო მოქმედება გამოიჩინა ჟერმელის ჩრდილო-დასავლეთით და იპრის აღმოსაელეთით, ფრულინგენის მახლობლად მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

თეირანი, 6 იანვარი. ქუჩუკ-ხანისა და ჰასან-ხანის ათასიანი ბრბო, რომელიც შიშის ზარს სცემდა მცხოვრებთ ენზელი-რეშტის რაიონში და ემუქრებოდნენ რუსთა ჯარების საკომუნიკაციო ხაზს, დღეს სავსებით მოსპობილია. შეტაკება მოხდა მთიან ადგილებში. ქუჩუკ-ხანის რაზმი სავსებით გარშემორტყმულ იქმნა და გატეხილი.

ათინა, 7 იანვარი. მინისტრ-პრეზიდენტი პაშიჩი და სერბეთის მთავრობის წევრნი რამდენიმე აფიცრითურთ კორფუში მოვიდენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ავსტრიელები ცეტინიეში.

გენერალ კევეშის ჯარი ცეტინიეში შევიდა. მეფე ნიკოლოზი მთელის მმართველობით სკუტარში გადავიდა.

ლოვჩენის მნიშვნელობა.

„ტაიმს“-ი სწერს: ცეტინიეს თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ავსტრიელები მთაშავეთში ვერავითარ სურსათს ვერ ჰნახავენ. „ლოვჩენის“ აღებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეთათვის, რადგანაც კატაროს ნავთსადგურზე ჰბატონობს. „ტაიმსი“ კითხულობს: ეხლა რაღას აპირებენ მოკავშირეები ადრიატიკაში?

გაზ. „პესტერ ლლოიდ“-ი სერს: რაკი ლოვჩენი ავსტრიელებმა აიღეს, იტალიელებს ხელიდან გამოეცალათ ყოველივე საშუალება ადრიატიკის სანაპიროებზე ბატონობისაო.

გაზ. „პესტერ ჰირლაპ“-ი სწერს: ლოვჩენის აღებას ცეტინიეს აღებაც მოჰყვებაო. ეს აზრი, როგორც ვიცით, უკვე გამართლდა. ცეტინიეს აღებით პირდაპირი გზა გაიხსნა ჩრდილო ალბანეთისკენ. ეს კი მხოლოდ მთაშავეთის დამარცხებას კი არ მოასწავებს, ეს არის იტალიის დამარცხება, რადგანაც იტალია ერთდროს ნეიტრალობისათვის მოითხოვდა, ლოვჩენი მთაშავეთის ხელში დარჩესო.

ენვერ-ფაშას სიტყვა.

ენვერ-ფაშას პარლამენტში უთქვამს: ბულგარეთის გალაშქრებამ სერბეთის წინააღმდეგ საშუალება მოგვცა ბულგარეთის საზღვრებიდან ჯარი წამოგვეყვანა. ჩვენი ჯარი მოკავშირეთა ჯარებს შეუერთდა. ღმერთს მადლობას ვსწირავ, რომ ჩემი იმედი გამართლდა. ეხლა მოკავშირეთა ჯარის დახმარებით ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი მიწა-წყალი მტრებისაგან მთლად გავსწმინდოთ.

რუმინეთი და გერმანეთი.

გაზეთების სიტყვით, ბუქარესტში მიელიან ჰოჰენლოეს, რომელსაც დავალებული აქვს გერმანეთ-რუმინეთის დამოკიდებულება მოაწესრიგოს.

მთაშავეთში.

ამბობენ გერმანელებმა ბიულოვის პირით მთაშაველთ შეუთვალეს, სეპარატიული ზავი შევკრათო. მთაშაველთ უარი შეუთვალეს. მაშინ ავსტრიელებმა მთაშავეთს შეუტიეს. აქ ჰყავდათ 200 ათასი მეომარი.

სალონიკთან.

ავსტრიელები და ბულგარელები, სანამ სალონიკზე გაილაშქრებდნენ, შეეცდებიან ალბანეთში მყოფი სერბეთის ჯარი მთლად მოსრან, რომ გზა ხსნილი ჰქონდეთ საბერძნეთის მაკედონიაში სამოქმედოთ.

ახალი რკინის გზა.

გერმანელებმა ველესისა და მონასტირის შუა ახალი რკინის გზის ლიანდაგი გაიყვანეს ბაბუნუს ულელტეხილზე მძიმე ზარბაზნების გადასაზიდად.

მძიმე ზარბაზნები.

ოსმალები ჯარს თრაქიაში უყრიან თავს. სტამბოლიდან და ჩატალჯიდან მძიმე ზარბაზნები ვარნასა და დედეაგაჩში გადააქვთ.

დუნაიზე.

ბულგარეთის გზით საბერძნეთის საზღვრებისაკენ დუნაით იგზავნება დიდძალი ცხენოსანი ჯარი და სამოსელი გერმანელებისა.

საბერძნეთში.

ა. დერენტალი სწერს: ბერძნების ჯარი ინგლისურად არის გამოწყობილი, გაწრთვნა ფრანგული აქვს, მაგრამ გული კი გერმანელებისათვის უცემს.

უკანასკნელი ფოსტა

მთაშავეთის დანებება.

29 ქრისტეშობისთვეს მთაშავეთი ზავით შეეკრა გერმანეთს. მთაშავეთის მეფემ 26 ქრისტეშობისთვეს წინადადება მისცა სერბეთის მეფეს, დაემორჩილოს ავსტრიელთა მოთხოვნილებას და ჯარი დაშალოს, მაგრამ სერბეთმა უარი შეუთვალა.

რუსეთის მთავრობის ზოგიერთ გაზეთს არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მთაშავეთი მოწინააღმდეგეს დაჰნებდებოდა; ამის გამო დიდს მწუხარებას აცხადებენ. და ამბობენ ამ მოვლენას მოწინააღმდეგეთა ბანაკში დიდი ზნეობრივი გავლენა ექნებაო. არ ეგონათ, აგრეთვე, რომ მთაშავეთი იძულებული იქმნებოდა, მოკავშირეებს გადასდგომოდა და სლავიანების მტრებს შეუერთდებოდა.

მთაშავეთის ორი გენერალი არ დაჰნებდა და სერბეთში გაიქცა. სერბიელები კვლავ ალბანეთისკენ იხევენ.

ციხეს ამაგრებენ.

გერმანელები ბრესტ-ლიტოვსკს სისწრაფით ამაგრებენ. რუსები ფიქრობენ გაზაფხულზე ალყა შემოარტყან.

რუსების გამოსვლა ხოლმის გუბერნიიდან.

ხოლმშჩინიდან თითქმის ყველა რუსი გამოვიდა, მხოლოდ პოლონელები და ებრაელები დარჩნენ.

უმოქმედობის გამო პეტროგრადის ქალაქის საბჭოს წევრებს სამართალში აძლევენ.

აკრძალულია პეტროგრადში კერძო პირს რაიმე სანოვაგე გაეგზავნოს. ყველაფერი უნდა ქალაქის უფროსის სახელზე გაიგზავნოს.

მთაშავეთის დედოფალი.

მთაშაველთა დედოფალმა სხვა დედოფლებთან ერთად, გავლისას რომში შეიარა. თან ახლდა მინისტ-პრეზიდენტი. მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი სკადრაში დარჩა, რათა აქედან მტრის წინააღმდეგ ხალხი დარაზმოს.

საფრანგეთის ხალხს ამხნევებენ.

საფრანგეთის მთავარსარდალი წარუდგენენ უფროსი თავმჯდომარე და ზინადარი რკინის გზაზე მომუშავეთა სინდიკატებისა. ეოფრმა უთხრა, მეტად საჭიროა, რომ ხალხი სულით არ დაეცეს და ჩვენც, თუმცა ადრე არა, მაგრამ ბოლოს მაინც გავიმარჯვებთო.

მოქმედება შესწყდა.

მესოპოტამიაში ავდრების გამო საომარი მოქმედება შესწყდა.

ჯარმა იარაღი დაჰყარა.

კატაროდან იუწყებიან, მთაშაველთა ჯარი ვირპასართან ავსტრიელებს დაჰნებდნენ და იარაღი გადასცესო. ზავის ჩამოსაგდები მოლაპარაკება მინდობილი აქვს ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩს, რომელიც დანიშნულ ადგილს გაემგზავრა.

გრძოლის ველზე

საყურადღებო ცნობები გუშინ არა მოსულა რა. მთელ ბრძოლის პირზე დიდ ცვლილებას არას იწერებიან.

მხოლოდ დვინსკის მიდამოებში შლოსებურგთან შეტაკება ჰქონიათ რუსებს.

ოსმალეთის მხრითაც ახალი არა არის რა. მხოლოდ ნაჩვენებია, რომ მიუხედავად მრავალ რიცხოვანი ოსმალოს ჯარისა, მაინც დიდ შედეგებს მიაღწია რუსის ჯარმაო. სჩანს, ოსმალებს მაშველი ჯარიც მოსვლიათ. რუსის ჯარი, როგორც 1914 წლის გიორგობისთვის რიცხვებში მიუახლოვდენ აზრუმის ციხეს, დღესაც იქითვე მიეშურებიან.

არც რუსეთის ჯარის შესახებ, არც ინგლისის ჯარის შესახებ სპარსეთიდან ცნობები არა არის რა. საგულისხმოა ის ცნობა, რომ რეშტსა და ენზელის მიდამოებში პარტიზანულად მებრძოლი სპარსეთის ხანების რაზმები მოუსპიათ რუსებს. ეს რაზმები ზურგიდან ხელს უშლიდენ რუსის ჯარებს და ძლიერ აწუხებდენ.

დასავლეთის ფრონტზედ საყურადღებო არა მომხდარა რა. არც სალონიკის რაიონიდგან არის ცნობები.

რა პირობებში დაჰყარეს იარაღი მთაშაველებმა, ცნობა არ არის. მხოლოდ ეხლა გვატყობინებენ, რომ უკვე 29 ქრისტეშობისთვეს დაუწყიათ მთაშაველებს ავსტრო-უნგრეთთან კაპიტულიაციის შესახებ ლაპარაკი. ახლო მომავალში კი შევიტყობთ რა პირობებში მოხდა მორიგება. კერძო ცნობებით წინასწარი მორიგების პირობები შემდეგი ყოფილა:

მთაშაველებმა გარდა იმ იარაღისა, რითაც ომობენ, უნდა გადასცენ ავსტრო-უნგრეთს ყოველივე საგვარეულო იარაღი, რითაც თვითეული მათგანი არის შეიარაღებული, მათვე—ავსტრო-გერმანელებს უნდა გადასცენ ყველა სოფელ-ქალაქები და ყველა გზები. მთელი ახალგაზდობა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია უნდა გადასახლდენ დროებით იმ რაიონში, სადაც ავსტრო-უნგრელები გადასწყვეტენ, ქალები რასაკვირველია ხელ შეუხებელნი არიან.

გ. გ.

თბილისი, 9 იანვარი.

მემკვიდრეობის გაუქმება. ყველაფერი უცნაური ჩვენში უნდა მოხდეს. ისტორია არაფერია: მას ჩვენვე ვაფუჩჩებთ. იურიდიული უფლებები არ არსებობს: მას ჩვენც ვქელავთ და სხვებიც, მიტომ გვისპობენ. ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა ჩვენი სამკვიდრებელის წეწვა-გლეჯა, წაღებწამოღება. ლევაშოვის თარეში ისტორიისთვის შეწყნარებულ ფაქტად დარჩა. საეკლესიო ქონებათა წაღება არაფერია, მთელ სალაროთა წაღებაც არაფერი, მამულების წარღვნა-წაღებაც არაფერი, სამთავროთა მოსპობა,—გაუქმება ხომ არაფერი და არაფერი! უკანასკნელის მაგალითი დღესაც იბეჭდება ჩვენს გაზეთში, მაგალითი ფრიად მარტივი, ბევრის მთქმელი. სოფელ ქვემო მაჩხაანის მეცხვარეებს წაერთვათ საძოვარი მთა „კამეჩის მინდორი“, ეს ის მთაა, რაიც 200 წლის განმავლობაში საკუთრებად ჰქონდათ მათს მამა-პაპას და დღესაც იმავე გზით, იმავე მეთოდით ხმარობდნენ ცხვრის ფარის შესანახად, საზრდოებლად. მთავრობა მას უყურებდა როგორც ციციშვილების საკუთრებას, მაგრამ რა გამოირკვა, რომ საკუთრება იგი ზოგადია, ერთისა კი არა, არამედ მთელი საზოგადოებისა—მეცხვარეების, საძოვარს ხელი წაატანეს, დაბალი ღობე გაიქელა, საძოვარი იგი სახაზინოდ გარდაიქცა, მეცხვარეებს შესაფერი ღალა-იჯარა გააწერეს.

რაკი-ღა მეცხვარეთა საკუთრება „საკუთრების“ ფარგლიდან გამოვიდა, მას ხაზინა ისე მოექცა, როგორც მოესურვებოდა. კორესპონდენტის სიტყვით ხსენებულ მთის მახლობლად სომხები ბინადრობენ. მათი მეცადინეობით მთავრობას ეუწყა მეცხვარეთ მოჭარბებული საძოვარი აქვთო. მათი აგენტების ჩვენებით მთავრობამ ყოველისფერი დაიჯერა, გამოუძიებლივ განკარგულება მოახდინა: მაჩხაანელებს ჩამოერთვათ მთა და სომხებს გადაეცეთო. რა თქმა უნდა, ამას შესაფერი გამიჯვნა მოჰყვებოდა, გამიჯვნა ჩუმი, ფარული, როგორც თვით აგენტებს მოესურვებოდათ, ასე რომ მაჩხაანელებს არც-კი გაუგიათ. შემდეგ სიურპრიზი იწყება: ბარში წასული მეცხვარენი ცხვრის ფარითურთ სეზონის შემდეგ დაბრუნდებიან თუ არა მთაში, თავიანთ ბინების ადგილას უნახავთ უცხო მოსახლეობა. ამას მოჰყოლია ჩვეულებრივი ჩხუბი, აყალმაყალი, ასე რომ გამოუძიებლობამ უნებური პროვაკაცია წარმოშვა ორს მოსახლეობათა შორის, რაიც სისხლის ღვრამდე კინაღამ მივიდა. რად იყო ეს საჭირო? არა, მაგრამ განა ამას ვინმე ყურადღებას აქცევს? გულწრფელი აღშფოთება მაჩხაანელებისა ლოღიკური იყო, მაგრამ მხოლოდ ლოღიკური, რასაც ცხოვრებაში ადგილი აღარა აქვს, ვინაიდან საკუთრება მათი ერთი კალმის მოსმით აღარ არის მათი, როდესაც უფლება და კანონი მათთვის აღარ უფლებობს და კანონობს, როდესაც ყოვლიდგან ყოველისფერი ახალ განკარგულების თანახმად მხოლოდ მოწინაღმდეგეთა სასარგებლოდ ლაპარაკობს!

დიდია უბედურობა საქართველოსი. იგი ყოველმხრით განიცდის შევიწროებას; თითქოს იმპერიაში ჩვენ კანონიერების უფლება არა გვქონდეს და მიტომ ყოველ ჩვენს მოთხოვნილებას, თხოვნა-ჩივილს მხოლოდ ირონიით უპასუხებენო. ისე სჩანს, თითქოს საქართველოში ქართველთა მემკვიდრეობას მემკვიდრეობის ოდნავი ღირებულება არა ჰქონდეს, ყოველისფერი გაბათილებულიაო!

ქართული პრესა

„სახალსო ფურცელი“ ეხება სოხუმის ქალაქის თავის ნ. თავდგირიძის წერილს, რომელიც იმავე გაზეთის 6 იანვრის ნომერში იყო მოთავსებული და სხვათა შორის სწერს:

...ამისთანა პირობებში, როდესაც თვვთ აფხაზები შევიწროებულნი არიან, ნუ თუ რაიმე სამართლიანობა მოითხოვს ხელი შეეუწყოთ უცხოეთიდან გადმოსახლებულთა დასახლებას აფხაზების მიწაწყალზე? ბ-ნ ნ. თავდგირიძეს არ შეიძლება არ მოეხსენებოდეს, რომ როდესაც ზოგიერთი ხმოსანი გადმოსახლებულებზე ლაპარაკობს, მას იმდენად სამართლიანობა არ აინტერესებს, რამდენადაც განსაზღვრული პოლიტიკა, რომლის სული და გულიც არის საქართველოს ეთნოგრაფიული აჭრელება, ჩვენი ტერიტორიის განადგურება და განიავება.

გაზეთი ამბობს, მეზობლების სამართლიანი მოპყრობის წინააღმდეგი არავინ არისო და განაგრძობს:

სოხუმის ოლქის დასაპყრობლად ნამდვილი ნადირობაა გამართული და ამ ნადირობის დროს მონადირეებს ავიწყდებათ ელემენტი, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული—თვით აფხაზები.

სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქმნება: ქართველ მაჰმადიანთა ტიპები; ციხის დამცველნი ძველად და გიორგი სააკაძე, ნახატი ს. ერისოავისა, ქართველ ქალის პორტრეტი ნახატი ალ. ციმაკურიძისა, დანგრეული კერა და რამდენიმე კარიკატურა. ლექსები: შანშიაშვილისა, შიო მღვიმელისა, ტ. ტაბიძისა, ქნარისა და სხვათა, „ბალტასარის ნადიმი“ დ. კასრაძისა და სხვა ესკიზები.

ახალი ამბავი

საქართველოს ექსარხოსს ყოვლად უსამღვდელოესს პლატონს ორშაბათს 11 იანვარს საგანგებო მატარებლით მოელიან ნაშუადღევის 2 საათზე.

წითელ ჯვრის ლაზარეთი, რომელიც სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში იყო მოთავსებული დაიკეტა. ამ ბინას საქალაქო ლაზარეთისათვის უპირებენ აღებას.

იარაღ-პატრონების აღმოჩენა. ვერის თავდაღმართზე მცხოვრებ ტ. ვ. ჰაპაინცის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა ერთი ყუთი 900 ცალი სასროლ ბერდანის პატრონებით, ბრაუნინგის რევოლვერი და ბერდანის გილზები. რევოლვერი და პატრონები ჩამოართვეს.

მიწად-მოქმედების რწმუნებული ბ-ნი შაშკოვსკი ბაქოს გაემგზავრა.

არქ. პიროსის ნაცვლად ინიშნება მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი არქ. დოსითეოსი, (ბერძნიშვილი) ხოლო მის ნაცვლად შუამთის მონასტრის წინამძღვარი არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი).

დერბენტის ქალაქის გამგეობა სთხოვს ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას, რომ კავშირის დაწესებულებათა შესანახი ხვედრი ფულის გამოგზავნა დააჩქარეთ, თორემ გაგვიჭირდა ამ დაწესებულებათა ხარჯების დაფარვაო. 1 იანვრამდე დერბენტის ქალაქის გამგეობას 13,000 მანეთი დასდებია ვალად სხვა და სხვა ფირმებისა, რომელთაგან საქონელი მიჰქონდა კავშირის დაწესებულებათა საჭიროებისათვის.

დახმარება. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 100 მანეთი გადასდო წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოსწავლის კობალაძის დასახმარებლად, რომლის მშობლები ომისაგან ძალზე დაზარალდნენ.

წარმომადგენლების არჩევა. ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია წარმომადგენლებად ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად 14 ამა თვეს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ვ. ი. რცხილაძე და ა. თ. ყიფშიძე.

თანამდებობიდან გადადგომა. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ განცხადება მიართვა საზოგადოების საბჭოს, რომ თანამდებობას ვსტოვებო. საბჭომ სთხოვა მას, რომ წარსული წლის საზოგადოების მოქმედების ანგარიში მაინც შეადგინოს და საზოგადოების წევრთა საერთო წლიურ კრებამდე, რომელიც თებერვალში უნდა შესდგეს, ნუ დასტოვებს თანამდებობას, რაზედაც ბ-ნმა რცხილაძემ თანხმობა განაცხადა.

სარევიზიო კომისიამ, რომელიც წასული წლის მარტში აირჩია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ 1912, 1913 და 1914 წლების ანგარიშების განსახილველად, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. ანგარიშები სტამბაშია მიცემული დასაბეჭდად და ამ დღეებში დაურიგდებათ საზოგადოების წევრებს გასაცნობად.

თაგვის საწამლავი. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გამოიწერა ეკატერინოსლავის საგუბერნიო ერობისაგან 5,000 გრამი თაგვის საწამლავი სოფლებში გასარიგებლად. საწამლავი უკვე გამოგზავნილია და ამ დღეებში მოელიან თბილისში.

ფულის განაწილება. ქალაქის საბჭოს მიერ გადადებული 150.000 მანეთი შემდეგის წესით გაანაწილეს ქალაქის გამგეობაში, საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ და ქალაქის მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა: იმ მოსამსახურეს, რომელიც თვიურად ღებულობს 30 მანეთს, უნდა მიემატოს 35 პროც., რომლებიც ღებულობენ 30 მანეთს ზემოთ 100 მანეთამდე, უნდა მიემატოსთ 30, 25 და 15 პროც. რომლებიც ღებულობენ 100 მანეთზე მეტს, უნდა მიემატოს 10 პროც. ეს პროექტი საბჭოს მახლობელ კრებას წარმოედგინება დასამტკიცებლად.

საჭიროა მასწავლებელი. კავკავის ქართულ სკოლაში ერთი მასწავლებლის ადგალია თავისუფალი. მასწავლებელს თავისი ბინით თვეში 60 მანეთი ეძნება.

სტატისტიკოსის ღათხოვა. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკოსი მ. ნ. ავდეევი ამ თანამდებობას აღარ ასრულებს. მასთან ერთად სამსახურიდან გავიდა 2 მისი ხელქვეითი მოსამსახურე ქალი. სტატისტიკური განყოფილების საქმეებს დროებით ხელმძღვანელობს საზოგადოების მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი ი. შ. ფირუმოვი.

ქართველ მანდილოსანთა მოღვაწეობა. როგორც ვიცით, გორში არსებობს მანდილოსანთა წრე, რომელსაც ნაკისრები აქვს ომიანობისაგან დაზარალებულთ დახმარება აღმოუჩინოს. წრემ, სხვათა შორის, დაარსა უსასყიდლო საჩაიე. ამჟამად წრე ამ საჩაიესთან ხსნის წერა-კითხვის სკოლას, რომლის კურთხევა დანიშნულია 14 ამა თვეს. იმ დღეს წრე აპირებს სალიტერატურო საღამოს გამართავს, რომელზედაც მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვენი სცენის ცნობილი მსახიობნი.

ბოსტნეულობის გახმობა. თბილისის საბაღოსნო სკოლაში ფარდულები უკვე დამთავრებულია და ბოსტნეულობის გახმობას ჯარებისათვის ამ დღეებში შეუდგებიან. დიდძალი კომბოსტო მოაქვთ გორის მაზრიდან გასახმობად.

მომხმარებელი საზოგადოება. თბილისის გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება მუხრანის მომხმარებელ ამხანაგობისა.

თბილისში ჩამოვიდნენ რამდენიმე მსხვილი მოვაჭრე აბრეშუმის პარკით, რომელნიც აბრეშუმის თესლს სპარსეთში წასაღებათ ყიდულობენ.

პოლიციელის დაჭრა. ავჭალის ქუჩაზე ორ ხულიგანს მაღაზიის შუშების ჩამტვრევისთვის, პოლიციელს, წინადადება მიეცა პოლიციაში გაჰყოლოდნენ. ამ დროს ერთ ხულიგანს საკეც დანით მძიმედ დაეჭრა მარცხენა გვერდში პოლიციელი, რომელიც საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

შაბიამანი. ფრიდონოვის სავაჭრო სახლი ამ დღეებში მოელის არხანგელსკიდან 18.000 ფუთამდე შაბიამანს. ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა, რამდენიმე ბოჭკა შაბიამანი გამოართვას ბ-ნ ფრიდონოვს და წვრილ-წვრილად მიჰყიდოს სოფლის მევენახეებს.

სურსათი. 7 იანვარს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 25 ვაგონი, ღვინო 1 ვაგ., ბრინჯი 2 ვაგ., ხილი 1 ვაგ., დამარილებული ხორცი 9 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., შეშა 23 ვაგ., მაზუთი ერთი ვაგონი.

ზემო და ქვემო ნიჩბის (გორის მაზრა). აქეთ სოფლებში საშინლად მძვინვარებს სახადი და ათასი სხვა სნეულება. სახადმა ათიოდე კაცი იმსხვერპლა. სოფელი უეჭიმოდ არის მიტოვებული. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ საშინელ მდგომარეობას.

საგარეჯო (გარე კახეთი). ჩვენ სოფლებში სიმშილობამ უკვე იჩინა თავი. საგარეჯოს ქუჩებში დაიარებიან შიშველ-ტიტველი ბავშვები მოწყალების სათხოვნელად.

წარჩინება. წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვარი და ხმალ-ბანტი ებოძა როტმისტრ **ქარცივაძეს**. წმინ. ანნას პირველ ხარისხისა პოდპორუჩიკს **გაჩეჩილაძეს**. წმ. ანნას მესამე ხარისხისა პოდპოლკოვნიკს **ტატიშვილს**.

სომეხთა გასაჭირი. როგორც „მშაკს“ ატყობინებენ, ვანში ყოფილა ამ ჟამად 1317 კაცი, ხოლო პროვინციაში 5,500, რომელნიც ლუკმა პურსაც-კი არიან მოკლებულნი.

აჭარის გასაჭირი

ოსმალეთისაგან მოსასთან გასწორებულ ... მდგომარეობაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ უფრო მეტი დასაწერია. ჩვენ ხელთა გვაქვს ოქმები და მოხსენებანი ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე ბათომის საოლქო კომიტეტის წევრის თ-დ ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილისა. ეს მოხსენებანი მეტად საგულისხმოა და ისტორიულ საბუთად გამოსადეგი. ამისათვის მთლად მოგვყავს.

მოხსენება პირველი

(ხერთვისის საზოგადოება, ქვემო აჭარა, მოხსენება 1915 წ. 10 ივლისის თარიღით).

ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში (ბათომის ოლქი) შედის შემდეგი სოფლები: სკურდიდი, ცხემლალა, მილისი, უჩხეთი, ნამლისევი, ჩალახმელა, მაკლაკონი, ქვედა ხერთვისი, ქედ-ქედი, ჩანივრი, აჭარის აღმართი, კიბე, კაფნისთავი.

სოფ. სკურდიდი.

ომის დაწყებამდე ამ სოფელში იყო და ეხლაც არის 18 კომლი, სულ 145 სული, 106 დიდი, 39 მცირეწლოვანი. თითო ოჯახში ყოფილა 5—21 სული. მათი გვაოები: ჰაჯი ახმედ ზაფუნოღლი, მავლუთ მუთაველ ოღლი, ქუჩუკ და სულო სელიმ-ოღლი, ფერად მეკულ-ოღლი, ასონ ქუჩუკ ბარახტარ-ოღლი, ოსმან ქუჩუკ ბარახტარ-ოღლი, მეჭირ ნეგეჯი ოღლი, უსტა ახმედ ქავეჯი-ოღლი, თუფან სელიმ-ოღლის ობლები, ახმედ სელიმ-ოღლი. ასან ცარიელ-ოღლი, დემურალი ცარიელ-ოღლი, ომერ ქავეჯი-ოღლი, ომერ მურად-ოღლი, ოსმან ბეესალ-ოღლი, ქუჩუკ ქავეჯი-ოღლი, ილიას მემედ ზაირ ალი-ოღლი, მოლა ხალილ კახიძე.

ამათი სახლები მთლად გადაბუგულია. მთელი დოვლათი, მონაგარი, ხარჩო და სახლის ავეჯი-მოწყობილობა გაუტაციათ, გაურეკიათ 153 ცხენი, ჯორი, ხარი და ძროხა, 116 ცხვარი, 461 თხა; **წაუღიათ** 689 ძირი ფუტკარი. აწიოკების შემდეგ მთელს სოფელში გადარჩენილა 1 მეხრეკი ცხენი, 17 ხბო თუ ძროხა, 2 ცხვარი, 35 თხა, 3 ძირი ფუტკარი.

მთელს ამოდენა ხალხს საკვებად შერჩენია მხოლოდ 50 ფუთამდე სიმინდი. დახმარება არსაიდან მიუღიათ. მეზობლებს შეჰხიზნებიან.

სოფ. ცხემლალა.

ამ სოფელში 15 კომლია, სულ 91 სული, 78 წლოვანი, 13 მცირეწლოვანი. მათი გვარები: ოსმან ჩაუშ ყადი ოღლი, ყიზეთ ჩახი ოღლი, ლომან ალიშლან ოღლი, ალი მემედ ოღლი, მემედ მაირამალ ოღლი, მემედ მოლალ ოღლი, მოლა შაქირ მუხოღლი, მემედ დურსუნ ოღლი, ჰუსეინ თემელ ოღლი, უსუფ ფეხლევან ოღლი, მემედ ძველიშვილი, მემედ ჭუჭულ ოღლი, მემედ იბრაჰიმ ოღლი, ოსმან ლაზ ოღლი.

ამათი კარ-მიდამო მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილობა, ავეჯეულობა, ჭურჭლეული, იარაღი—ყველაფერი დაუტაციათ. **გაურეკიათ:** 45 ცხენი თუ ძროხა, 71 ცხვარი, 65 თხა; **წაუღიათ** 312 სკა—ფუტკარი, მთელი სანოვაგე, საკვები და მონაგარი. აწიოკების მერე სოფელში გადარჩენილა: 27 ცხენი, ხარი-ხბო, 8 ცხვარი, 25 თხა. მცხოვრებნი ყოვლად უმწეოდ

ქართველი ერი და სარწმუნოებრივი საკითხი

(დასასრული)

ეროვნული კულტურა მაშინაა ღირსი თავის სახელწოდებისა, როცა მას აქვს მკაფიო თავისებური, სხვა კულტურათაგან განსხვავებული სახე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერი სავსებით განმარტოებული უნდა ვითარდებოდეს, გარეშე ყოველგვარ გავლენისა. პირიქით, ყოველი ერი იძულებულია შეითვისოს მეზობელ ერთაგან მათი საკულტურო შენაძენი და ამ შეთვისებაში თავის შემოქმედებასაც უნდა ეწეოდეს. ხოლო თუ ეს შეთვისება ცალ-მხრივია, თუ ერი განიცდის გადაჭარბებით მხოლოდ ერთი რომელიმე უცხო კულტურის გავლენას, მაშინ აუცილებლივ მისი პიროვნება ითელება, მისი თავისებური ბუნება ჩლუნგდება, ის ერთგვარად ეცემა. პირიქით, როცა ერს თავისუფლად შეუძლია ისარგებლოს სხვა და სხვა კულტურულ მიმდინარეობათა ნაყოფით, მაშინ ის აღწევს უმაღლეს წერტილს თავის შემოქმედებისას. ქართველმა ერმაც საოცარი სიძლიერით გაშალა თავისი შემოქმედების ფრთები მეცხრე—მეთორმეტე საუკუნოებში, როცა მას საშვალება მიეცა ერთგვარად დასწაფებოდა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურას. მოხდა ერთნაირი სინტეზი, რომელმაც წარმოსტყორცნა ბევრი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, პოლიტიკოსი, პოეტი, მათში შოთა რუსთაველი, რომლის გენიოსობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხიბლავს ქართველ ერს.

მაგრამ აი ქართველ ერს დაუდგა შავ-ბნელი დღეები, შესუსტდა ძალა მთლიანობისა, დაეცა თვითმოქმედებაც და ქართველი პოლიტიკოსნიც სინათლის საძებრად იქით იცქირებიან, სადაც მუდამ სიბნელეა, სითბოს იქ ეძებენ, სადაც მუდამ ყინული და სუსხია. ქართველობა სწყდება ევროპის ცივილიზაციას. მის კულტურას გამოფიტვა და განადგურება მოელის. ამ დროს სწორედ ჩვენ საკულტურო ასპარეზზე გამოდის კათოლიკე ქართველობა. კათოლიკეები შეიქმნენ იმ კულტურულ ძალად, რომელიც ევროპასთან კავშირს იჭერდა, გადმოქონდათ იქიდან სწავლა და განვითარება და ამით ხელს უწყობდენ ეროვნულ კულტურის ლამპარის გაჩაღებას. საუბედუროდ უკანასკნელ ოთხი საუკუნის ჩვენი კულტურული ისტორია ჯერ შესწავლილი არაა საკმაოდ, ქართველ ისტორიკოსებს ჯიპი მეთორმეტე საუკუნეზე აქვთ მიჭრილი, თითქო ჩვენ შემდეგ არ გვეცხოვროს, არ გვებრძოლოს. ხოლო რამდენადაც ამ უკანასკნელ საუკუნეთა ისტორია შესწავლილი იქნება, იმდენად ცხადი გახდება ჩვენთვის კათოლიკე ქართველობის როლი ქართველ ერის ცხოვრებაში. დიდი იყო მათი როლი ეკონომიურ ცხოვრებაშიაც. ეკონომიური საქმიანობა ერთი უპირველესი ძარღვთაგანია ეროვნულ არსებობისა. ერი, რომელსაც არ აქვს ამის შეგნება, მოგვაგონებს იმ კახელ გლეხს, რომლისთვისაც საქვეყნო ბაზარი მის მარანში თავდება, მოიწევს ღვინოს, ზის მარანში და უცდის ჩარჩს, მოდი შვილი მომინათლე და ტყავიც გამაძვრეო.

მთელი ქვეყნიერობა რომ შემოიაროთ, იმდენ მოხეტიალე და უსაქმურ, თავზე ხელაღებულ ხალხს ვერ იპოვით, რამდენიც ჩვენშია. მე ამით არ მინდა ვსთქვა, თითქო ქართველი ერი არ შრომობდეს, შრომობს და წელებზედ ფეხს იდგამს, მაგრამ ხორცმეტიც დიდია მის სხეულზე და უბედურება ისაა, რომ ამ ხორცმეტს ერთნაირი სიყოყოჩეც თან ახლავს. და აი ასეთ პირობებში კათოლიკე ქართველობა საუკეთესო წარმომადგენელია ვაჭრობა-მრეწველობის, თქვენ იმას გნებავთ ფრანგიც უწოდეთ, ის მაინც ჩინებული ქართველია, ყოველ შემთხვევაში სხვაზე არა ნაკლები: თავის სამშობლოს ვაჭრობა-მრეწველობის, მეურნეობის, მწერლობის, მასწავლებლობის, თუ ხელოვნების ნიადაგზე მსახურება. ამასვე მოველით ჩვენ მაჰმადიან ქართველებისაგან. ძველი კლარჯეთის შვილნი, შვილნი იმ კუთხისა, რომელმაც მისცა ქართველ ერს პოლიტიკური შეგნება, საუკეთესო პოლიტიკოსნი და საზოგადო მოღვაწენი, რომლის კულტურული უპირატესობა დღესაც აშკარად ხდება იმ გარემოებაში, რომ ქართველ ერის ყველა კილოკავ შორის ულამაზესი, ულრმესი კილო არის სწორედ მესხური, რაც უნდა ვუწოდოთ მათ, მაინც დიდ როლს ითამაშებენ ქართველ ერის ცხოვრებაში. ბევრია დღეს ჩვენში ეროვნულად გაკოტრებული; საითაც უნდა მიიხედოთ, დაინახავთ მათ, ასეთები მაჰმადიან ქართველობაშიც მოიპოვება, მაგრამ ხალხი მაინც საღია და ის დღესაც თანამოზიარეა ჩვენი, ძმაა ძმათა შორის, რომელნიც საერთო ეროვნულ საქმიანობას ეწევიან. ხოლო რამდენად დრო გავა, იმდენად მათი როლიც გაიზრდება და იმდენად თვით ქართული კულტურის შემოქმედება ფრთას გაშლის. და აი რატომ.

ყოველი ზრდა არის თავისებურების გაძლიერება. რამდენად ვიზრდებით, იმდენად მეტ ინდივიდუალობას, მეტ თავისებურებას ვიძენთ. ხოლო ამ ზრდას აქვს ორი პირობა, ერთი შინაგანი, სურვილი არსებისა, სურვილი ზრდისა, ურომლისოდაც თვით არსებობაც შეუძლებელია. ამაზე ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, რადგან თვით ქართველი ერის გაკოტრებულებიც კი დღეს დარცხვენილნი გაიძახიან, განა ჩვენ ოდესმე ეროვნულ შემოქმედების წინააღმდეგნი ვიყავითო. ჩვენ აქ კიდევ ერთხელ ყურადღებას მივაქცევთ მეორეს, გარეგან მხარეს. თუ შინაგანი სიცოცხლის ძალა არის უპირველესი პირობა ყოველი არსებობისა, გარეგან პირობებსაც ფრიად დიდი გავლენა აქვთ მისი განვითარების მიმართულებაზე: ბევრ უბედურებათა შორის რომელიც ქართველ ერს თავს დაატყდა, ერთი უდიდესთაგანი ის არის, რომ დღეს განსაკუთრებით ძლიერია მასზე ცალმხრივი კულტურული გავლენა, რაც მის შემოქმედებას ასუსტებს, უბნევს თვალს და ერთნაირ მომაკვდინებელ მხარედ შედის მის ორგანიზმში. მაინც თავს ვინუგეშებდით, ეს უმაღლესი კულტურის გავლენა რომ იყოს, მაგრამ ესეც არ არის. წარსულმა ქართველ ერს დიდი კულტურული მომზადება უანდერძა, რაც ნათლად სჩანს გარეშე, ხილულ ნაშთებს რომ თავი დავანებოთ პირდაპირ მის შინაგან ბუნების სიფაქიზესა და სიმაღლესი, ქართველი ხალხი, ქართველი მასსა მეტად მაღალია შედარებით, იმ კულტურასთან, რომლის გავლენა მას მძიმე უღლად აწევს კისერზე. და აი ამ პირობებში მას ესაჭიროება განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა ცალმხრივ გავლენის ასაცდენად. აქაა დიდი როლი არაორტოდოქს ქართველთა. კათოლიკე ქართველობა განაგრძობს თავის ძველს მისიას და დღესაც გვაწვდის ევროპიელ კულტურას, მას მალე გვერდში ამოუდგება მაჰმადიანი ქართველობაც. განვითარება და წინსვლა მასაც არ დააკლდება, ხოლო ამ განვითარებისთვის ის ორტოდოქს ქართველებსავით ღრანჯს არ მიანგრევს, გლახა, შერყვნილ ასლებს არ მიმართავს, არამედ ნამდვილ ევროპიულ, მრავალფეროვან და დიდბუნებოვან კულტურას. ამას ადვილად დაინახავს ის, ვინც ორიოდე განათლებულ მაჰმადიან ქართველს გაიცნობს. თქვენ წინ ნამდვილი ევროპიელი სდგას, რომელმაც იცის შედარებითი ფასი სხვა და სხვა ერთა კულტურისა და თავის პიროვნებაც შეუგნია. ისტორიის ქარტეხილი მკაცრი და ულმობელი იყო ქართველ ერისთვის, მას მომავალშიაც ბევრი ტანჯვა და განცდა მოელის, მაგრამ უკვე მომწიფდა ის მომენტი, როცა თითქო დარღვეული მთლიანობა ქართველ ერისა ხელახლა ერთდება, სარწმუნოებრივი საკითხი კარგავს გამთიშველ ხასიათს, ერთობის გრძნობა იზრდება და მასთან იზრდება საღი შეგნებული, აწონ-დაწონილი საქმიანობაც. ამ დროის მაჰმადიანი ქართველობა აუცილებლივ ითამაშებს დიდ როლს და ამიტომაც ჩვენ დიდი სიხარულით და აღტაცებით ვეგებებით მის კულტურულ-ეროვნულ ზრდას.

ჰ. ს—ძე.

ქ. ყენევა.

დარჩენილან საკვების მხრივ. დახმარება არავისაგან არ მიუღიათ. მეზობლებს შეჰხიზნებიან.

სოფ. მილისი.

ომამდე ამ სოფელში ყოფილა 27 კომლი. დარჩენილა 11. გვარები ყველასი არ არის მოხსენებული, მხოლოდ ორის გვარია, რომელთაც ყოველისფერი დაჰლუპვიათ, კარ-მიდამო დაჰბუგვიათ, საქონელი გაურეკიათ, ჭირნახული და სხვა ოჯახის დოვლათი მთლად გაუტაციათ.

ამ ორის გვარი გახლავთ: ჰუსეინ ჰაჯი ოღლი, მეხმედ დელი კუტ-ოღლი.

სოფ. უჩხეთი.

ამ სოფელში ომიანობამდე ყოფილა 52 კომლი. აწიოკების მერე დარჩენილა 8 კომლი, სულ 26 სული, 18 წლოვანი, 8 მცირე წლოვანი. დარჩენილთა გვარები:

მემედ ყარაუჩოღლი, ყარა უსეინის ქვრივი, ოსმან ქავეჯის ოჯახობა, ხაფიზ მოლა ისმაილის ობლები, იუსუფ გენჯ-ოსმან-ოღლი, ოსმან ბედინაძე, უსეინ ფასალ ოღლი, მემედ ყაზი ოღლი. ამათი კარ-მიდამოც მთლად გადაბუგულია. სახლის მოწყობილების ნაწილი გადაურჩენიათ. 30 ცხენი ძროხა-ხბო და მთელი დოვლათი დაჰკარგვიათ. არავითარი საკვები არ დარჩენიათ. ამათგანი ზოგი მეზობლებს შეჰხიზნებია, ზოგი რკინის გზაზე მუშაობს.

დახმარება არავისაგან არავითარი არ მიუღიათ.

სოფ. ნამლისევი.

ამ სოფელში ომამდე 19 კომლი ყოფილა. აწიოკების შემდეგ 7 კომლი-ღა არის, სულ 16 სული, 9 წლოვანი, 7 მცირე წლოვანი. ამ 7 კომლიდან 2 ოჯახი ნივთიერად მთლად გაუნადგურებიათ, დაუწვავთ მათი კარ-მიდამო. წაუყვანიათ მათი 1 ცხენი, 15 ცხვარი, 15 თხა და ყოველივე სარჩო-საბადებელი. მათი გვარები. მემელია ჩიჩი ოღლი და სულეიმან ფაშან ოღლი. დახმარება არავისაგან არ მიუღიათ.

დანარჩენი ხუთი კომლიც დახარალებულა, შედარებით ნაკლებ. გაურეკიათ ნაწილი მათი საქონლისა, დაუტაციათ სახლის მოწყობილება და სარჩო-საბადებელი.

სოფ. ჩალახმელა.

ეს სოფელში ომიანობამდე ყოფილა 20 კომლი, აწიოკების მერე 4 კომლიღა დარჩენილა, სულ არის 10 სული, 5 წლოვანი, 5 მცირე წლოვანი. მათი სახლები და კარ-მიდამო გადაბუგულია, ოჯახის ავლა-დიდება გაძარცული და გატაცებული. ამ ოთხ კომლს არაფრისაგან არაფერი შერჩენიათ აწიოკების შემდეგ არც სულადი, არც საქონელი. მათთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ. მათი გვარები: უსეინ დერმან ოღლი, მუსა ბედინაძის ობლები, სეფერ მუსტაფა ოღლი, აბდულ არჩი ოღლი.

სოფ. მაკლაკონი.

ამ სოფელში ომამდე ყოფილა 15 კომლი, აწიოკების დროს დარჩენილა 3 კომლი. მათი გვარები: ახმედ ქევჯი ოღლი, ალი ღინჯალ ოღლი, ზემით ჯინჯალ ოღლის ოჯახობა. ამათგან 5 წლოვანია, 2 მცირე წლოვანი. მათი კარ-მიდამო მთლად გადაუბუგავთ, სახლის მოწყობილება ყველაფერი დაუტაციათ, სულადი, ჭირნახული, სანოვაგე თუ რაიმე საკვები და საქონელი მთლად მოუსპიათ. არავითარი დახმარება მათთვის არავის არ აღმოუჩენია.

სოფ. ქვემო-ხერთვისი.

ამ სოფელში 18 კომლი ყოფილა ომიანობამდე. აწიოკების შემდეგ 4 კომლიღა დარჩენილა. ესენი ეხლა შეხიზნულნი არიან სოფ. კაფისთავში, რადგანაც ქვემო-ხერთვისში ბინადრობა აკრძალულია. აქ სულ 16 სულია, 1 მცირე წლოვანი, 15 წლოვანი. მათი სახლები მთლად გადამწვარია. სახლის მოწყობილების მცირე რამ ნაწილი გადაურჩენიათ. წლის სარჩო მთლად გაუტაციათ. 2 ცხენი და 2 ძროხა გაურეკიათ. არც სულადი და არც რაიმე ოთხფეხი საქონელი არ შეურჩენიათ. დახმარება მათთვის არავის გაუწევია. მათი გვარები: მამედ ბაქირ ოღლის ობლები, უსეინ იმამ ოღლი, ქუჩუკ დაუდ ოღლი, ხუსნა ბარახტარ ოღლი.

სოფ. ჩანგრი.

ამ სოფელში ომის დაწყებამდე ყოფილა 18 კომლი. ეხლა არის 8 კომლი. სულ 32 სულია, 29 წლოვანი, 3 მცირე წლოვანი. მათი სახლი და კარ-მიდამო გადაბუგულია, ქონება, ავლა-დიდება—წლის სარჩო მთლად გატაცებული. გაურეკიათ მათი 48—ცხენ-ხარი თუ ძროხა, 23 ცხვარი, 6 თხა. წაუღიათ 110 ძირი ფუტკარი. არც სანოვაგე არც რაიმე სარჩო არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის არავითარი დახმარება არავის არ გაუწევია.

სოფ. აჭარის აღმარჯი.

ამ სოფელში ომის დაწყებამდე 43 კომლი ყოფილა, ეხლა კი მხოლოდ 10 კომლია, სულ 30 სული. მათი სახლები გადაბუგულია, ავლა დიდება მთლად განიავებული წლის სარჩოს ნატამალი არაფერი გააჩნიათ. გაურეკიათ მათი 36 ცხენ-ძროხა, 55 ცხვარი 235 თხა; წაუღიათ 125 ძირი ფუტკარი. სოფელში არაფრისაგან არაფერი დაუტოვებიათ. მათთვის დახმარება არავის აღმოუჩენია.

სოფ. კიბე.

ამ სოფელში ომიანობამდე 58 კომლი მცხოვრები ყოფილა, ეხლა არის 24 კომლი. მათი სახლები მთლად აკლებულია, ყავარი აყრილია, კარ-ფანჯარები გამოღებული, იატაკი აყრილი. ერთი სიტყვით გაპარტახებულია ეს სოფელი. დარჩენილია შავი კედლები და სახურავი. მთელი ავლა-დიდება, წლის სარჩო, სახლის ავეჯი თუ ჭურჭელი, ყოველგვარი მოწყობილობა გაუტაციათ. გაურეკიათ მათი 23 ცხენი თუ ჯორი, 34 ძროხა, 9 ცხვარი 1 თხა; 30 ძირი ფუტკარი. აწიოკებას გადარჩენია 2 ცხენი, 5 ძროხა, 10 თხა. მხოლოდ ის შერჩენიათ, რაც ზედ სცმიათ.

მათთვის კომიტეტს სულზე 4 ფუთი სათესლე და თითო ფუთი საკვებად დაურიგებია.

სოფ. კაფნისთავი.

ეს სოფელი სხვებთან შედარებით ნაკლებ დაზარალებულია. გადარჩენილა სახლები და ნაწილი შინაური საქონლისაც. თუმცა ბლომად წაუღიათ წლის სარჩო და საქონელიც ბლომად გაურეკიათ. ეს სოფელი კომიტეტის აზრით 2—3 თვით უზრუნველყოფილია საკვების მხრივ.

აქამდე ამოვწერეთ მხოლოდ მშრალი ციფრები დარბეულ გაპარტახებულ აჭარის ერთი კუთხისა. ახლა მოვისმინოდ თვითონ მოხსენება თ-დ ანდრონიკაშვილისა.

(შემდეგი ინება)

ნ.

მთის ჩამორთმევა

სოფ. ქვემო მაჩხაანელების მეცხვარეებს ჯავახეთში (ახალქალაქის მაზ.) უხსოვარ დროიდან საბალახედ იჯარით ჰქონდათ აღებული მთა, სახელად კამეჩის მინდორი. ეს მთა წარმოადგენდა ბ. ბ. ციციშვილების საკუთრებას, მხოლოდ გამიჯვნის დროს აღმოჩნდა, რომ ეს მთა თითქმის 200 წელ. მაჩხაანელ მეცხვარეების მფლობელობის ქვეშ ყოფილა. ამითი ისარგებლა მთავრობამ. თავადებს ჩამოერთვათ ეს ადგილი; ამ დროიდან მაჩხაანელებს დაუბრკოლებლად შეაქვთ ხაზინაში გადასახადი იჯარა:

„კამეჩის მინვრის“ შორი ახლოს არის სომხის ბინები. ამ სომხებმა თხოვნით მიმართეს მაჩხაანელებს, რომ ჭაობი, რომელიც 2 დესეტინამდის იყო, მათთვის დაეთმოთ, რადგანაც ამ ჭაობში ჩალა მოდიოდა და ამ ჩალით ქვეშ-საგებს სწნავდნენ; რადგანაც ცხვრისთვის ეს ალაგი უსარგებლო იყო, მაჩხაანელებმაც აიღეს და დაუთმეს.

ადგილობრივმა აგენტმა და ბოქაულმა 2 დესეტინა ჭაობი 200 დესეტინათ გააზვიადეს. სოფ. ძაგველების მცხოვრებლებს სომხებს ამოუდგენენ მხარში და ზემოდ აღნიშნულ მიზეზით მთავრობის წინაშე აღძრეს საკითხი იმის შესახებ, ვითომ მაჩხაანელებს საბალახე ადგილი მოჭარბებული ჰქონდეთ.

მთავრობამ აიღ-დაიღო და განკარგულება მოახდინა: ნახევარი მთა მაჩხაანელებს ჩამოერთვათო და სომხებს გადაეცესო. ამ განკარგულებას მალე-ვე მოჰყვა „კამეჩის მინდვრის“ შუაზე გამიჯვნა აგენტის მიერ. ბ. აგენტმა სომხებს ის ნახევართაგანი არგუნა, სადაც მაჩხაანელების შრომა-ამაგი იყო, სადაც მშვენიერი ბინები ჰქონდათ გაკეთებული. ეს სუყველაფერი მოხდა საიდუმლოდ. მაჩხაანელებს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვებოდათ. 1913 წ. როდესაც ცხვარი ბარიდამ მთაში მოვიდა მაჩხაანელი მეცხვარეები ხედავენ რაღაცა საშინელებას: თავიანთ ბინებში ვიღაცა სომხები ჩამდგარან და არხეინად ბატონობენ. ამ უცნაურმა და მასთან წარმოუდგენელმა მოვლენამ მაჩხანელ მეცხვარეებს გული უზომოდ აუშფოთა, ცეცხლი მოუდო. მცირე ლაპარაკის შემდეგ მაჩხაანელებს სომხებთან ჩხუბი მოუხდათ, ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრივეს, მაგრამ ამ ჩხუბმა მაჩხაანელების სასარგებლოდ არავითარი ნაყოფი არ მოიტანა, ზარალის მეტი. ადგილობრივი პოლიცია სომხებს თანაუგრძნობდა, მაჩხაანელმა მეცხვარეებმა თავიანთი მდგომარეობა **მთავრობას დეპეშით აუწყეს. მთავრობამაც** სწრაფად დანიშნა კომისია. ეს კომისია შესდგებოდა: 1) მაზრის უფროსისაგან, 2) საქონლის ექიმისაგან, 3) შუამავალ-მომრიგებელისადა სხვათაგან. ამ პირებს ჰქონდათ მინდობილი „კამეჩის მინდვრის“ აზომვა და საქონლის რაოდენობის გაგება. კომისია მთაში ავიდა და შემდეგი გამოააშკარავა:

„კამეჩის მინდორი“ არის—1080 დესეტინა.

ცხვარი	13,000 სული.
ცხენი	200 „
ვირი	20 „

კომისიის გამოკვლევით ამ საქონლის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო მარტო 1080 დესეტინა კი არა, არამედ 1800 დესეტინა. ეხლა ნათლად ვხედავთ, რომ მაჩხაანელების მთას არავითარი გამიჯვნა და გაყოფა არა სჭირდებოდა. ამ მთის საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა, ჩვენ მაჩხაანელ მეცხვარეებს კი ეს ორი წელიწადი ცხვარი უმთოობისაგან ელუპებათ. მეცხვარეები შუა წყალში არიან გაჩერებულები, ვერც გაღმა გასულან, ვერც გამოღმა.

ვ. ათანელიშვილი.

ღია წერილი

ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს

თქვენს „მინაწერში“ ყველაფერი სისწორით არის გადმოცემული, მაგრამ თქვენი წერილი „საქართველოს“ ვერც 5 იანვრის №-ში დაიბეჭდა ტ ვერც ექვსისაში, არა იმისთვის, თითქოს ასე მესმოდეს პატივისცემა „ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე ისტორიკოსისა“, როგორც თქვენ ამის აღნიშვნა ინებეთ თქვენს „მინაწერში“ („სახ. ფურ.“ № 473). მიზეზი ის გახლდათ, რომ კოლეგიამ სიჭიროდ დაინახა მცირე რედაქცია გაეკეთებინა თქვენი წერილისთვის, ხოლო ეს თქვენდა დაუკითხავად არ ვისურვეთ. ამის გამო თქვენი წერილი „საქართველოს“ 5 იანვრის ნომერში ვერ დაიბეჭდა. ხოლო „სახალხო ფურცლის“ ხუთი იანვრის ნომერში რედაქციამ სწორედ ის ფაქტები მოიყვანა, რომელიც თქვენს წერილში იყო აღნიშნული. ეს ფაქტები ეჭვ-მიუტანელ სინამდვილედ მივიმჩნიეთ.

ბ-ნმა ეკალმაც“ თავის წერილში: „სახალხო ფურცლის პასუხის გამო“ ყოველ ეჭვს გარეშე დასტოვა „სახალხო ფურცლის“ ფაქტიური შენიშვნა თქვენი სურათის მოუთავსებლობის ნადვილი მიზეზის შესახებ. ყველა ამის შემდეგ თქვენი წერილი მნიშვნელობას ჰკარგავდა როგორც მკითხველი საზოგადოებისათვის, ისე „საქართველოს“ რედაქციისათვის. ამა და ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო თქვენი წერილი ექვსი იანვრის ნომერშიც ვერ მოთავსდა. ხოლო შვიდ იანვარს ისე სწრაფად მობრძანდით რედაქციაში და ისე სწრაფადვე დასტოვეთ იგი, რომ საჭირო განმარტების მოცემის საშუალება მოგვესპო. მოწოდება: დაბრუნებულიყავით, უყურადღებოთ დასტოვეთ. ყველა ეს სამწუხაროდ დაგვირჩა, რაიცა კერძო ბარათითაც გაცნობეთ კიდეც.

მიიღეთ ჩემი პატივისცემა

ს. კედია.

თბ. მესამე უმნახ.-გამს. ამხანაგობა

(7 იანვარი. საზოგადო კრება).

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ გრ. ნ. დიასამიძემ და წინადადებით მიმართა დამსწრეთ კრების თავმჯდომარეთ აერჩიათ წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი დ. ჩხეიძე, რაიცა ერთხმად იქმნა შესრულებული.

კრებას მოხსენდა ამხანაგობის ანგარიში დღიდან დაარსებისა (20 ენკენისთვე 1915 წ.) ამა წლის 1 იანვრამდე. ყოველივე ხარჯს გარეშე ამხანაგობას დარჩენია 39 მან. 60 კაპ. ამ ფულიდან, წესდების თანახმად, კრებამ 20 მანეთი გადასდო სათადარიგო თანხაში და დანარჩენი გადასწყვიტა გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ კრება შეუდგა საშუამავლო ოპერაციის დაწყების საკითხს, რომელიც შეეხება ქართველ მეპურეებისთვის ფქვილისა, შეშისა და მარილის იაფ ფასებში ყიდვის მოწყობას. ამ საკითხის განხილვამ დიდი კამათი გამოიწვია და მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა ქართველ მეპურეების მიერ. გამგეობის წევრები და კრების თავმჯდომარე დამსწრეთ უმარტავდნენ საკითხის შინაარსს. კრება დიდის აღტაცებით შეეგება მეპურე არჩვაძის სიტყვას, რომელმაც მკაფიოდ განმარტა, **რა** საშინელ მდგომარეობას განიცდიან ქართველი მეპურეები ჩარჩ ფქვილის გამ**ყიდველების მიერ შექმნილ პირობების** გამო და მოუწოდებდა მეპურეებს ერთობისაკენ. ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ კრებამ რამდენჯერმე ტაშის კვრით დააჯილდოვა ორატორი. ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო გარდაწყვეტილება: დაეკისროს ამხანაგობის გამგეობას წარმოება საშუამავლო ოპერაციისა ჯერ პირველ ხანში მხოლოდ ფქვილის შეძენის შესახებ და შემდეგ შეშისა და მარილისა.

კრებამ დროებით დასტოვა ძველი ხარჯთ-აღრიცხვა და დაავალა გამგეობას შეიმუშაოს ახალი ხარჯთაღრიცხვა საშუამავლო ოპერაციის მიხედვით. კრებამ აგრეთვე დაადგინა, რომ ერთ ტომარა ფქვილზე ამხანაგობამ აიღოს საკომისიო არა უმეტეს ერთი აბაზისა პირველ ხანებში; შემდეგ-კი, როცა ამხანაგობაში ყველა მეპურეები ჩაეწერებიან, ეს საკომისიო პროცენტი შეამციროს.

დასასრულ კრებამ გამგეობის მეოთხე წევრად ერთხმად აირჩია ტეხნიკოსი ზ. ს. ბიჭაშვილი, რომელიც უკანასკნელ ხანში უსასყიდლოდ ეხმარებოდა გამგეობას. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა კრების თავმჯდომარეს დ. ჩხეიძეს, გამგეობის თავმჯდომარეს გრ. დიასამიძეს და ზაქ. ბიჭაშვილს მუყაით და უსასყიდლო შრომის გაწევისათვის ამხანაგობის სასარგებლოდ.

კრება მრავალ რიცხოვანი იყო და სრულის წეს-რიგით დასრულდა.

ლ.

ყრილობა

სრულიად დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა. 29 ქრისტ.

(დასასრული *)

სანამ კრება გაიხსნებოდა სასოფლო მეურნეობის ინსპეკტორმა ვ. კანდელაკმა სთხოვა მასწავლებლებს გაევრცელებიათ, ხალხში სოფლად წიგნაკები: „სამეურნეო აგრონომიული დაწესებულება და მისი დანიშნულება“ და სხვა რომელიც არკვევს სამეურნეო კითხვებს. მასწავლებლებმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღეს. ბ. კანდელაკმა მათ წიგნაკები დაურიგა.

შემდეგ დილის 11 საათზე თავმჯდომარე ვ. ნაცვლიშვილი და მდივანი პ. ჭანიშვილი თავიანთ ადგილს იკავებენ და კრებას გახსნილათ აცხადებენ.

კრების გახსნისთანავე არჩეულ იქმნა კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც მიენდო არჩევა გამგეობის, სარევიზიო კომისიისა, საგამომცემლო და სარედაქციო კოლეგიის წევრთა.

გამგეობაში არჩეული იქნა: ი. ნიკოლეიშვილი, ლ. ჩიმაკაძე, მ. ჩეჩელაშვილი და ან. ქავთარაძისა. **მათ კანდიდატებად:** ნ. ქამუშაძე, აბზიანიძე და სირაძე. **სარევიზიო კომისიაში:** პარ. ჭანიშვილი, ფარ. ძიძიგური და კიკალიშვილი. **მათ კანდიდატებათ:** ქობულია და თათარიშვილი. **საგამომცემლო და სარედაქციო კოლეგიაში:** ი. გომელაური, დ. ოყრეშიძე, მიხ. ბოჭორიშვილი, ზ. უზნაძე, პ. ჭანიშვილი, კანდელაკი, ანთელიძე და რედაქტორად ვ. ნაცვლიშვილი.

არჩევნების შემდეგ დაისვა საკითხი რომ მასწავლებელთა კავშირი ჩაწერილიყო წევრათ კავშირთა-კავშირში. კრებამ ეს საკითხი ერთხმად მიიღო და კავშირთა-კავშირის კრებებზე დასასწრებლად აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარე მირიანე ბასილაია, სარედაქციო კოლეგიის წევრი პარ. ჭანიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრის კანდიდატი ქობულია.

შემდეგ კრება გადავიდა სამასწავლებლო სახლის აშენების საკითხზე. ზოგიერთი იმ აზრისა იყო რომ სამასწავლებლო სახლის აგება ჯერ-ჯერობით ნაადრევი არისო. პ. ჭანიშვილი ამის წინააღმდეგ წავიდა და დაამტკიცა რომ შენობის აგება ნაადრევი სულაც არ არის, მხოლოდ რადგანაც ჯერ-ჯერობით ამის სახსარი არა გვაქვს, დაევალოს, ოთახები იშოვონ რომელიც რედაქციისთვისაც გამოგვადგება და სოფლებიდან ჩამოსული მასწავლებელთა დასადგომათაცო.

კრებაზე წინადადება შემოვიდა „სამშობლოს“ და „მეგობრის“ რედაქციებიდან, რომ ისინი თითო ოთახს დაუთმობენ რედაქციისათვის, მაგრამ ამის შესახებ ნ. ქამუშაძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ჩვენ ამ რედაქციების წინადადებას მივაღებთ, იმათი გავლენის ქვეშ ვიქნებით და არ გვინდაო. მიხ. ბოჭორიშვილიც ამ აზრის არის და დასძინა რომ ეთხოვოს გამგეობას გამონახოს რედაქციისათვის შესაფერი ოთახები და აგრეთვე სამასწავლებლო ოთახებიც. კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობას შოვნა სარედაქციო ოთახებისა.

*) ეს წერილი ფოსტაში დაგვიანდა. რედ.

ამის შემდეგ მოხსენება წაიკითხა ნ. ქამუშაძემ „უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები და სახალხო სკოლები“. კრებამ ბ. ქამუშაძის წინადადება მიიღო რომ სასურველია უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლები დაუქვემდებარდეს სახალხო სკოლებს რომ მოწაფე, რომელიც დაასრულებს ოთხ განყოფილებას უეგზამენოდ იქნეს მიღებული უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის პირველ კლასში.

შემოსული იყო აგრეთვე სხვა და სხვა მოხსენებები რომელიც დროს უქონლობის გამო მომავალ კრებისათვის გადაიდო.

— დასასრულ სახ. მასწავლებელთა შორის შეიკრიბა ფული იმში გაწვეულ სახალხო მასწავლებელთა ოჯახების სასარგებლოდ, რომელიც გაეგზავნა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

ნ—ი.

წმ. აგო თბილელი

(8 იანვარი)

ჩვენი გულითადი სურვილია წმ. აბო თბილელის ცხოვრებიდამ ამოეწუროთ მასში ჩაქსოვილი დედა აზრი, მით უმეტეს, რომ რომელიმე დიადი იდეისთვის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა თავისთავად მარადისობის გვირგვინით შემკულია და ზნეობის განსპეტაკების დაუშრეტელი წყაროა, საუკუნეთა განმავლობაში.

აბო არ იყო ქართველი... მას ქართველი დედის ძუძუ არ უწოვია, მაგრამ ამისდა მიუხედავად ქართველი გმირია და საქართველოს ეკლესიის წმიდანია, რომლის პატივსაცემლად რვა იანვარია დანიშნული. ის უცხო ტომის შვილი იყო. იგი არაბი იყო. არაბნი კი მეცხრე საუკუნეში, როდესაც აბოს განგების მიერ ხვდა რონინება წუთისოფელში, ქართველ ერის თავისუფლების მტარვალნი იყვნენ; ქართველი ერი მათი მონა და მოხარკე იყო. არაბთა მფლობელობის წარმომადგენელი ემირი, საქართველოს დედა ქალაქს თბილისში სცხოვრობდა და ქართველებზე თვალყური ეჭირა. ყოველთვის არა, მაგრამ **ხანდახან კი** არაბნი ბევრს უსამართლობას სჩადიოდნენ საქართველოში, რომელნც იწვევდა მართალ გვამთა გულში უკიდურეს აღშფოთებას... უსამართლობის მსხვერპლად შეიქმნა ქართლის მთავარი ნერსე, რომელიც უდანაშაულოდ მხოლოდ ავენა მტრების დაბეზღებით ბაღდადის მბრძანებელმა მუმლი აბდილამ სამის წლით საპყრობილეში დაატუსაღა.

ბაღდადში დატყვევებული ქართლის მთავარი ნერსე გაიცნო ახალგაზრდა ჭაბუკმა არაბმა აბომ, რომელმაც იგი სულით და გულით შეიყვარა, როგორც კეთილშობილი, პატიოსანი და უდანაშაულოდ დასჯილი. აბო დიდბუნებოვანი და შთაბეჭდილებათა მიმდევარი ადამიანი იყო. მან გაბატონებულ ერის შვილის პატივმოსილობა უკუაგდო და სამართლიანობის გრძნობის შთაგონებით შეიყვარა პატივახდილი ერის მთავარი ქართლისა ნერსე... განთავისუფლებული ნერსე ბრუნდება საყვარელ სამშობლოში. მას თან მოსდევს ჭაბუკი აბო, მსურველი ახალ შთაბეჭდილებითა და განცდათა. ქართლში იგი სცხოვრობდა თბილისში, „ნერსე ერისთავისათანა და **თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყვარელ ყოვლისა ერისა**“... აბომ შეიყვარა ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა, რომელიც დროს კვალობაზე მდიდარი იყო. იგი ემორჩილება მაშინდელ ქართულ კულტურის ზედგავლენას და „**მრავალთაგან სჯულის მეცნიერთა იკითხავენ და ისწავებენ**“... სჩანს, სჯულის მეცნიერი ქართველები მაშინ მრავლად ყოფილან თბილისში... ბავბედის მიერ დევნილი ნერსე იძულებული გახდა გაქცეულიყო საქართველოდამ. თავი შეაფარა ჩრდილო კავკასიაში ხაზარეთის სამეფოში. აბო თან წაჰყვა და მიიღო იქ ქრისტიანობა, რომლისათვისაც ნიადაგი შეიმზადა თბილისში.

იქიდან ნერსე და აბო აფხაზეთში მოვიდნენ საცხოვრებლად. აფხაზეთად იწოდებოდა იმ დროს (VIII საუკ.) დასავლეთი საქართველო, რომელსაც თავისი გამგე ჰყავდა... ეს მხარე იმ ჟამად თვისი კულტურით მაღლა იდგა... მას ნაკლებად მოხვდა არაბთა გამანადგურებელი ხელი... აბოს მეტად გაეხარდა, რომ ქვეყანა იგი აფხაზეთისა სავსე იყო ქრისტეს სარწმუნოებითა და განათლებითა. ნერსეს შემთხვევა მიეცა უშიშრად ეცხოვრა შემდეგ თბილისში. აბოც თან გამოჰყვა. **ახლა კი იმან თავი გამოაცხადა მაჰმადიანთა წინაშე ქრისტიანად** და აღარ [illegible] გაჯავრებულმა არაბებმა [illegible] ციხეში ჩააგდეს და გვამი მისი დასწვეს ცეცხლით მეტეხის კლდის ძირში, სადაც იქ იმ დროს იყო ქალაქის სასაფლაო, წოდებული **საგოდებელად:** ეს ადგილი მდებარეობდა ავლაბრის აწინდელ ორ ხიდს შორის. გმირულად დაასრულა თავისი სიცოცხლე აბომ, თავის სულიერ სამშობლო საქართველოში... თანამედროვე ქართველები დიდათ აღაფრთოვანა აბოს მოწამებრივმა სიკვდილმა. ამ სიკვდილში იმათ იხილეს თვისი სჯულის და ეროვნულ სულის სიმტკიცე და ძლევამოსილობა. აბო მარტო ერთად ერთი მაგალითი ხომ არ იყო ქართველი ერის მიმზიდველობისა და მისი სულიერ სიდიადის მომხიბლველობისა. გავიხსენოთ წმ. მოწამე რაჟდენი და ესტატე, ორივე სპარსი, რომელნიც საქართველოს ეკლესიის დამამშვენებელ გვირგვინებად ითვლებიან... უკანასკნელი იყო უბრალო მუშა, წულის მკერავი მცხეთაში... და ეკლესიამ იგი ღვაწლისთვის განადიდა... აბოს ცხოვრების აღმწერი ამაყობს იმით, რომ საქართველო დაბლა არ სდგას თვისი სარწმუნოებით, რომელსაც იმ დროს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, თვით საბერძნეთზეც: „არა თუ ხოლო **ბერძენთა** სარწმუნოება ესე ღვთისა მიერი მოიპოვეს, არამედ **ჩვენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა**... აჰა ესე საქართლოისაცა **მკვიდრთა** აქვს სარწმუნოება და წოდებულ არს (ქართლი) დედად წმიდათა, რომელთამე თვით **აქა მკვიდრთა** და რომელთამე **უცხოთა სხვით მოსულთა** ჩვენ შორის, ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესოს მიერ“...

(დასასრული იქნება)

ი. ფერაძე.

რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერილი 11*)

არქიმანდრიტი ამბროსი.—ეპისკოპოსი დავითი.—დიდუბის საკითხი.

(დასასრული)

დავით ეპისკოპოსს ქართველობა იცნობდა და იცნობს, როგორც მოუსყიდველ პირდაპირ ადამიანს, საღი ზნეობა-აზროვნების სამღვდელოს და ჭეშმარიტ ქართველს. ყოვლად პატივცემული მღვდელმთავარი, გაბედული და პირში მთქმელი, ერთად ერთი ადამიანი იყო, რომელიც დიპლომატიას ანგარიშს არ უწევდა და შეძლებისადაგვარად სიმართლეს პირში ეუბნებოდა ყოვლად შემძლე ექსარხოსს. განსვენებულს სწორედ ეს არ მოსწონდა, ბრაზობდა, სიცილში სიმწარის ცრემლები მოსდიოდა. ცხადი იყო, რომ ისინი ერთად ვერ მოთავსდებოდნენ. უფრო ძლიერს უნდა გამარჯვება. ჭექა-ქუხილის მოლოდინში ჰაერი შეიკრა, შეიკუმშა, სეტყვის მომასწავებელ მყუდროებამ მოიცვა ატმოსფერა. დავითმა დაარღვია ეჭვნეული დუმილი და 1912 წლის 25 თებერვალს რუსულად, აშკარად, საკუთარის ხელის მოწერით დასტამბა საბედისწერო წერილი „Нѣсколько правдивыхъ словъ по поводу обвиненія грузинъ въ ненависти ко всему русскому*).

განსვენებულ ინოკენტის მოთმინების ძაფი გაუწყდა,—და დავითი დაჩქარებით გადაიყვანეს თბილისიდან პიატიგორსკში.

მხოლოდ მას, ვინც დავითი პირად ნახა წასვლის წინ, მხოლოდ მას შეუძლიან იგრძნოს ის დიადი ნაღველი, რომელიც ქართველების საყვარელ მწყემსს მოჰგვარეს სამშობლოდან გაძევებით.

მაგრამ დავითი გაჭირვებას და შიმშილს არ შეუშინდა. მან რამოდენიმე ღია წერილი დასტამბა გაზეთ „Зак. Рѣчь“-ში**) და იმავე 1912 წელს ზედ სვეტი-ცხოვლობის დღეს—1 ღვინობისთვეს ახალი ხელმოწერით ტ ნომრით გამოსცა საკმაოდ მოზრდილი ბროშურა Къ вопросу объ автокефаліи Иверской Церкви“, რომელშიაც ვრცლად დაახასიათა თანამედროვე უნუგეშო მდგომარეობა ივერიის ეკლესიისა

წიგნაკი ბლომად დარიგდა რუსეთის უმაღლეს სამღვდელოებაში და მასში ჩამოთვლილმა ფაქტებმა ინოკენტის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სხვათა შორის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის

*) „Зак. Рѣчь“ 1912 წ. № 46.

**) იხ. სხვათა შორის 1912 წლის №№ 234 და 250.

სასახლეში, სადაც განსვენებული ინოკენტი ფერ-აკრული ამაოდ ცდილობდა ჩვეულებრივ ოხუნჯობით გაექარწყლებინა მწარე ფაქტების შთაბეჭდილება.

მაგრამ ინოკენტის მორბილება და გამოცვლა ასე ადვილი როდი იყო. ჰეშმარიტებაა ძველი თქმულება, რომ ყველას და ყველაფერს გაექცევი გარდა საკუთარის თავისაო. განსაკუთრებითი სითამამე, დამოუკიდებლობა, საზოგადოების აზრის წინაშე შეუდრეკელობა და ფოლადისებრ სიმტკიცე ხასიათისა განსვენებულმა დიდუბის საკითხში გამოიჩინა. რაც მოხდა დიდუბეში, მთელმა საქართველომ იცის. ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა ადგილობრივ გაზეთებში 1912-1913 წლების განმავლობაში. მაგრამ რა მიზეზით და მიზნით მოხდა ის, რაც მოხდა, ეს საჯაროდ მაინც არავინ გარეშემ არ იცის დღემდინ. პირადად მე სრულებით არ ვეთანხმები ზოგიერთების აზრს, რომ ვითომ ინოკენტიმ საფლავში თან ჩაიტანა ამ საქმის საიდუმლოება. პირიქით, მრწამს, რომ საქმის მცოდნენი მოქალაქობრივ გამბედაობას გამოიჩენენ, მახლობელი მომავალი ფარდას ახდის ამ შავ ბნელ ისტორიას.

ლოღიკურად კი მართლაც გაუგებარი რამე მოხდა. 1912 წლის პირველ თვეებში გადაიცვალა ანჩისხატის დეკანოზი ა. ზუმბულიძე. ერთნი თხოულობდნენ, ზოგს კი ძალით აჩეჩებდნენ ამ ადგილს. საქმე გაჭიანურდა,—და უცებ, მოულოდნელად 1912 წლ. 20 მაისს ინოკენტიმ ერთი რაღაცა, თითქმის უცხო ქაღალზედ დააწერა რეზოლიუცია: გადაყვანილ იქმნას დიდუბის წინამძღვარი ანჩისხატის ტაძარში და ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ტაძრის წინამძღვარი დიდუბეშიო. საზოგადოებამ ამოიოხრა, განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა. რატომ—რისთვის, დღესაც არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ საქმეში არც ერთის საამისო თხოვნა არ იყო და არ არის..

ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია. პირველ ხანებში მრავალს გვეგონა, რომ განსვენებულმა ინოკენტიმ დიდუბის გასარუსებლად მოაწყო ეს გადაყვან-გადმოყვანა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დიდუბის ახალმა წინამძღვარმა პირიქით განამტკიცა ქართული წირვა-ლოცვა, შემოიღო მუდმივი ქართული გალობა, ღვაწლი დასდო ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაწესებას, გააძლიერა ქართულ ენაზედ ქადაგება. მოესწრო დიდუბეში ახალი შტატის ქართველ მღვდლის (ფხალაძე) და ქართველ დიაკონის (ლაზარიშვილი) გამწესებას, რუსი დიაკონი (სლადკოპევცევი) გამოცვალა და მის ადგილას ქართველი (ჩუთქერაშვილი) ჩააყენა და თუ ვინმე „მრევლათაგანს“ დავუჯერებთ *), საუკეთესო განწყობილებაშია ქართველ მრევლთან.

ახელი.

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(სადღესასწაულო შთაბეჭდილებანი)

17.

(დასასრული)

ისრე ახლოს ვიყავი და აბა უნახავად როგორ დავტოვებდი ჩვენ ძველ ნაცნობ **„სახალხოელებს“**, მაგრამ, რა გამოვიდა, არც იმათ ეცალათ სადღესასწაულოთ: გეეშალათ ამიერ კავკასიის ისედაც აჭრელებული ქარტა და, ცნობილ სტრატეგ. ი. გე-ვა-ლის ჩვენებით, უფრო აჭრელებდნენ „მცხოვრებთა რეალ მოსახლეობის“ აღსანიშნავად, ვინაიდან, ბოლო დროის მრავლად შემოხიზნულთა წყალობით, უწინ შეხანხლული ქარტა ძირიანად გადაკეთებას მოითხოდვა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ, ამ საკითხის გადაწყვეტაში, იქ არც ისრეთი ერთსულოვანება სუფევდა.

— ჰერიჰა!..—გაიძახოდა ერთი,—მაგრე თუ გავყეთ, ბოლოს და ბოლოს, მთელ საქართველოდან ქუთაისის მიდამოღა თუ შეგვრჩესო...

— მაშ როგორ გინდა,—გაგულისებით უპასუხებდა მეორე,—ჩვენ სოციალისტები ვართ და არა შოვინისტ-ნაციონალისტები და, ამას გარდა, აქნობამდე, დაჟინებით, ერთს გავიძახით და განა ეხლაღა კეხის შებრუნება შეიძლებაო?!

ან მაშინ რას იტყვიან ჩვენი „მოძმე მეზობლები“, ან დასელებიო...

— ოღონდაც. ოღონდაც!—კვერი დაუკრეს იქ დამსწრე გაზ. „ჰორიზონის და „მშაკის“ წარმომადგენელებმა: —ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ, პიროვნებისა და მიუხედავად, რომ კვლავ „მეგობრებად“ დავრჩეთ; ნუ ვუღალატებთ „ძმებო“ ჩვენ „პროგრესიულ-სოციალისტურ პროგრამას“ და ერთა სოლიდარობის იდეას! რა ვქმნათ,—თუ ჩვენიანები თქვენში გადმოსახლდნენ, თქვენიანები კიდევ ეხლა ჩვენიანების ნაბინადარზე გადასახლდნენ; ამით არც შამფური დაიწვის და არც მწვადიო. თქვენიანები პირ-იქით სიხარულითაც უნდა შეხვდნენ ჩვენიანებისთანა კულტურულ ხალხს: აქ გაცხოველდება ვაჭრობა-მრეწველობა, განათლება, ლიტერატურა... აი. მაგალითად, ისრეთ მიყრუებულ მხარეში, როგორიც არის მესხეთი, უმალ უნდა გამოვცეთ გაზეთი „ჯავახკ“-ია...

— მაშ რატომ არის,—შეენიშნე მე მოუთმენლობისაგან,—რომ, ამას წინედ სჩიოდით ბაქოშიაც კი ერთ ჩვენ გაზეთსაც ვერ უარსებებიაო; სწორედ იმ სიმდიდრით საზღაპრო ბაქოში, სადაც უმრავლესად თქვენი გონებრივ-ქონებრივი ძალებია თავ მოყრილი. ეტყობა განსაკუთრებულის მიზნით თუ აარსებთ, უწინდულათ ჯავახეთში და ეხლა თქვენებურად—ჯავახკში, გაზეთს;მით უმეტეს...

— შენ ჩვენ კრებაზე ხმის უფლება არა გაქვს,—რიხიანათ შემომძახეს—აქეთ-იქიდან და კარები მომიხურეს, ვიგრძნე ჩემი უხერხული ყოფა; გამოვბრუნდი და იქვე, მეზობლად მყოფ, „ზაკ. რეჩის“ რედაქციაშიაც შევიარე. ვინც რა უნდა სთქვას და მაინც ეს გაზეთი ჩვენთვის გულის შემატკივარია. ამ რედაქციაში ჩემ მისაღებად არავის ეცალა: რედაქციის ერთი წევრი ანაფორას აკერინებდა; მეორე—სამხედრო ტანისამოსში ილამაზებდა თავს და მესამე კიდევ, დიდი იერიშების შემდეგ, სურსათი თუ შემოლეოდა, ჩაფიქრებული უკან დასახევ გეგმას ადგენდა... რუსულად მობაასე სომხურ გაზეთების რედაქციებშიაც ვაჰირებდი შევლას, რომ იქ, ერთხელ კიდევ, თვალი გადამევლო ჩვენ ზოგიერთ თანამემამულეთათვის, თუ საბრალო, ულირსი მონანი, როგორის მანჭვა-გრეხით ასიამოვნებდნენ თავიანთ მბრძანებლებს ტ საზოგადოთ „რა ფასში ჰყიდნენ თავიანთ ეროვნულ თავმოყვარეობას. განსაკუთრებით მაინტერესებდა ცნობილ ბოლო-ქანქარა ლ. ყიფიანის ნახვა, რომელმაც, ამ ცოტა ხნის წინად, ერთხელ კიდევ, მთელი ქუთაისი „კომედიანტებად“ და ფუქსავატ-დოყლაპიებად დასახა. თუმცა, საბრალოს იქით გასროლილი წიხლი ჰაერში გაუშშდა, მაგრამ გიდავიფიქრე: უიმედოთ და ზიზღით ხელი ჩავიქნიე და გაუდექ ჩემ გზას.

ოლღას ქუჩით რომ მივდიოდი, ერთ ალაყაფის კარებთან, შეენიშნე ჩვენ კარ ნაცნობ **გაზ. „თემის“** განცხადება, დავაპირე შესვლა, მაგრამ თანამგზავრმა შემაყენა, მაუწყა, რომ პატივცემული რედაქტორი გრ. დიასამიძე, მის შემდეგ, რაც იგი სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებაში ჩეეწერა, თვით სიტყვა-კაზმულ მწერლობისადმი და საზოგადოთ მწერლობისადმი ყოველივე ინტერესი დაჰკარგა; აღნიშნულ საზოგადოებაში გამეფებულმა ძილის ქუშმა ისიც მოიცვა და რათ გინდა შეუშფოთო ტკბილი განცხრომაო. მეწყინა, დაღონებული გამოვბრუნდი. სულ არ გადმიდგავს ოციოდე ნაბიჯი, რომ რამდენიმე მეგობარი ღრეჩით შემომეგება:

— გინდა თუ არა, აქვე ახლოს, უნდა „შინაურულად“ დავნაყრდეთო. ვიფიქრე, მოდი მართლა დამშეულ „მუცელს ბოძს შეუდგავ“ და შემდეგ, უფრო დამშვიდებით, აუჩქარებლად, ყველას მოვინახულებ მეთქი. დავთანხმდი; ჩამიყვანეს სადღაც ქვესკნელივით ღრმა სარდაფში; გააშლევინეს საუზმე და, რადგანაც მაგარი სასმელები აღკრძალულია, „ლიმონადები“ მოითხოვეს. რას ნიშნავს. არსებულ პროგრესის წყალობით, მეურნეობის ყოველგვარ დარგის გაუმჯობესება: „ლიმონადიც“ მამაცხონებულებს იმდენად დაუმუშავებიათ, რომ ნამდვილ ღვინოს თუ არა სჯობია—არაფრით ჩამოუვარდება! მართლაც იმ „ლიმონადმა“ გვარიანად გაგვახალისა, აგვაჭიჭინა, აგვახმაურა; ლაჩრები—გმირებად გვაქცია, საიერიშოთ დაგვრაზმა და მუქარიანათ შემოვძახეთ:

ოდელია-დელია,
საქართველო ჩვენია!..

მაგრამ... აშკარად ეტყობოდა, რომ სარდაფი მეტის-მეტად ნესტიანი (ე, ი. სირისტიანი) იყო. სხვისი არ ვიცი და ჩემ სუსტ აგებულებაზე მეტად იმოქმედა: სინესტიდან თითქმის მთლად დავლბი; ტკივილისაგან თავი კისერზე აღარ მაგრდებოდა, მთლად მოვდუნდი. „თავმოყვარეობას“ ნება რომ მოეცა, უნდა ავმდგარიყავ და წამოვსულიყავი, მაგრამ დავრჩი... ბოლოს იქამდე მისულა საქმე რომ აღარ მახსოვს, ვინ „მიმიტანა“ ჩემს ბინაზე და ან ღამე რამოდენის „დამშვიდებით« გავატარე. მეორე დილას რაღაც ხმაურობა მომესმა; თვალები რომ გავახილე, თავს წამომდგომოდნენ, სურდოს ანგელოზებივით: „დვორნიკი“, მისი თანაშემწე, „გოროდოვოი“, ნაცნობი „დენშიკი“ და კიდევ ვიღაცეები.

— ეხლა კი დადგა ახსასრულის დღე მეთქი შეშფოთებით გავიფიქრე მე.

— მოგვილოცავს, მოგვილოცავს! მრავალ ესრეთ დღესასწაულებს დაესწარით,—მომაძახეს აქეთ-იქიდან.

— დაიკარგეთ თქვე... ოხრებო თქვენა! შეუყვირე, როცა მიეხვდი რაში იყო საქმე,—ესრეთი წელიწადები ღმერთმა თქვენ და თქვენ ჯილაგს ნუ მოაკლოს მეთქი; ან ვინ მოქცათ ნება, რომ მძინარესაც არ მასვენებთ?!... დავიფრინე ყველანი. ჩვენ შორის დარჩეს, მკითხველო, და თავი უფრო იმიტომ გამოვიდე, რომ ისინი ჩემგან „დაკანონებულ“ საჩუქარს მოელოდნენ და ჩემს ცხარა ჯიბეში თამბაქოს საყიდელი გროშიც კი არ მოიპოვოდა...

მოდი და ინატრე ესრეთი დღესასწაულები!.- ღმერთმა თქვენც გაშოროთ!...

გ. ა—ციხელი.

პროვინციის ქრონიკა

დ. ბაღდადი.

ამინდი აქეთ გვარიანია.

ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობა დაათვალიერა წვრილ კრედიტის ინსპექტორმა ჯაფარიძემ. ამხანაგობაში საქმე სასურველად დაყენებული აღმოჩნდა. სესხად წაღებული ფული ყველას თავის ნებით თავის დროზე შემოჰქონდათ.

სიძვირე აქეთაც დიდია. მეტად გაძნელდება ხანდახან ნავთის და ასანთის შოვნა.

სოფ. ჭომი (იმერეთი).

ამ სოფლის მცხოვრებნი ქუთაისის საფოსტო სატელეგრაფო მმართველობის წინაშე შუამდგომლობენ, რათა მოეწყოს სოფ. ჭომში წერილების ჩასაყრელი ყუთი.

სოფ. დიმი (იმერეთი).

სოფელში ამ ბოლო ხანს მეტად გახშირდა ქურდობა, ღამე არ გაივლის ისე, რომ რომელიმე მოსახლეს სასიმინდე არ გაუტეხონ; ძროხა ან ხარი არ მოჰპარონ და სხვა, საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ინტელიგენციამ. აქეთ დიდ გაჭირვებას განიცდის ჯარისკაცთა ოჯახები, მათთვის ჯერ დახმარება არაფერი აღმოუჩენიათ.

სოფ. ხორში (სამეგრელო).

წარსულ თვეში სოფლის საზოგადო კრებაზე დაადგინეს 4000 მან. შეგროვება, ახალ ტიპის უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლის გასახსნელად, და აგრეთვე დაუთმეს სკოლას 6 დღიური მიწა.

სოფ. ძველი გავაზი (იმერეთი).

ამ სოფლის მცხოვრებმა ივ. ჩაჩიბაშვილმა ჩხუბის დროს დანით მოჰკლა გ. მამუკაშვილი.

სოფ. ზემო მაჩხაანი.

გზათ მიმავალი ბოდბისხევის საყდრის დარაჯი საბა ოზბეთელაშვილი ყაჩაღებმა გაძარცვეს.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებაში ამ დღეებში მოხდა კრება, რომელზედაც ექიმმა სულთანოვმა ვრცელი მოხსენება წარმოადგინა აჭარაში მოქმედების შესახებ.

— 2 იანვარს ყარსში სამხედრო გუბერნატორის თავმჯდომარეობით და კავკასიაში გამოქცეულთა დამხმარე კომიტეტის რწმუნებულის გენერალ თამამშევის თანადასწრებით, მოხდა კრება, რომელზედაც დადგინდა, რომ დახმარება აღმოეჩინოს ამ მხრის მაჰმადიანობას განურჩევლად ქვეშევრდომობისა.

— 5 იანვ. ვოლგის მხრის მაჰმადიანებმა წინასწარმეტყველ მაჰმადის დაბადების დღე იდღესასწაულეს. დღესასწაულზე მოწყობილი იყო „ჭიქა ჩაი“ რომლის შემოსავალიც გადაიდება, რომელიმე საქველმოქმედო საზ. საქმისთვის.

სოფლისა ცხოვრება

გაზ. „რან. უტრო“-ს საახალწლო ნომერში მოთავსებულია პატარა წერილი, ვინმე გ. არშუნიანისა ამ სათაურით: „ხმა სომხისა“ მოგვყავს უცვლელად: სისხლის მღვრელმა ომმა შეჰქმნა ბევრი საშინელებანი. მაგრამ ყველა საშინელებათ შორის განსაკუთრებით შთაბეჭდილების მომხდენია რამდენიმე მილიონიან ერის გაქრობა და მოსპობა ოსმალეთში.

ეს ერი სომხებია.

რა შემიძლიან მე უსურვო სომეხთ 1916 წ. მე მსურს ამბობს გ. არშუნიანი ოსმალთა იმპერიის სრული განადგურება და მათი გამოდევნა ევროპის საზღვრებიდან რადგან ესენი, სადგომი ადგილი იქ არ არისო.

მუშათა შორის

ქ. ფოთი.

ფოთის ნავთსადგურის მუშებს შორის დიდი განხეთქილება ჰსუფევს. რაიც ხელს უშლის მათ პროგრესიულ კეთილდღეობას. ამას წინად მუშებს ნამუშევრის საფასური დაურიგეს, და აღმოჩნდა, რომ მათთვის დაუკლიათ 600 ფუთი საქონლის გადასაზიდი ქირა.

ჭიათურა.

სურსათ-სანოვაგის არაჩვეულებრივად გაძვირებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო აქაური მუშები, ამას კიდევ ხელს უწყობს შავი ქვის წარმოების შემცირება რის გამოც ცუდა მუშათა მდგომარეობა თან და თან უარესდება.

რუსეთი

ი. დო. გორემიკინი სეპარატიულ ზავის შესახებ.

საახალწლო მილოცვაში გორემიკინს განუცხადებია: „უსურვებ რუსეთს და მის სახელოვან მოკავშირეთ, სრულ გამარჯვებას მტერზე. მსურ კიდეც და მწამს, რომ მომავალ წელს გაჰქრება ყოველივე ხმა სეპარატიურლ ზავის შესახებ. სრული და ჩვენდა საჭირო გამარჯვების მიუწდომელად არავითარი ზავის ჩამოგდება არ შეიძლებაო, დაასკვნის გორემიკინი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტში მუშათა ახალი მოთხოვნილება წარუდგენიათ, მოთხოვნილება სამუშაოზე ფასის მომატების შესახებ.

რუსეთის გამოჩენილ პირთა საახალწლო მილოცვებიდან.

ა. ე. გრუზინოვის აზრი. გამარჯვებისთვის აუცილებელია სამი რამ: ხალხს—საკვები, ლაშქარს—იარაღი, მთავრობას ხალხის დაახლოვება და მასთან ნდობის განმტკიცება.

მ. ა. ნაროჟნიცკი. საჩქაროდ ომის დამთავრება და რუსეთის პროგრესიულ საგანმანათლებელო გზაზე დაყენება.

ა. ს. სალაზკინი. საზოგადოებრივ თვითმოქმედებისადმი მეტ ყურადღების მიქცევა, პატივისცემა და საჩქაროდ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა.

უცხოეთი

რუმინია.

პარლამენტში არჩევნების დროს ამომრჩეველთა და ზოგიერთ დეპუტატთ შორის დიდი განხეთქილება მოხდა.

კონსერვატორთა და თაკე იონესკუს შორის განახლდა მკაცრი პოლემიკა.

მარგილომანის პარტიას წამოუყენეს ბრალდება, გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთის საელჩოებთან ურთიერთ განწყობილებისა და გერმანეთის სასარგებლოდ აშკარა აგიტაციის წარმოებისა.

ჩინეთი.

ჩინეთის პროვინციებში მოძრაობა კვლავ სწარმოებს, ბევრ ადგილებში რევოლიუციონერთა წინააღმდეგ რეგულიარი ჯარი მოქმედობს.

მთაშავეთი.

უკანასკნელ ბრძოლის დროს მთაშაველთა ჯართან ერთად მოქმედებდა სერბეთის ჯარი, ჰფიქრობენ, რომ ორივეს იარაღს აჰყრიანო. როგორც ვიცით, შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ გამართულ კონფერენციის ხელშეკრულების ძალით, მთაშავეთს უფლება არა აქვს სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№		ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ. 9	.	8.53	საღ.
„	საფ.	„ 3	.	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„ 19-20		3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„ 4	.	10.20	საღ.
„	ჩქარი	„ 6	.	12.8	დღის
„	სამგ.	„ 8	.	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	.	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ. 4	.	9.30	საღ.
„	სამგ.	„ 10	.	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„ 3	.	9.3	დილ.
„	ჩქარი	„ 5	.	7.41	საღ.
„	სამგ.	„ 7	.	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„ 19-20		7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	.	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარდეგს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	. .	8 ს. 58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ	კავ.	9 „ 23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.		9 „ 43	„	„
ვაზიანიდან	. .	10 „ 42	„	„
იორიდან	. . .	11 „ 35	„	„
საგარეჯოდან	. .	12 „ 17	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 15		დღის
მელაანიდან	. . .	2 „ 37	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	. .	4 „ 58	„	„
თელავში მიდის	.	5 „ 35	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 18	„	„
კარდენახიდან	. .	4 „ 50	„	„
წნორის-წყალ.	მიდის	5 „ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	. . .	8 ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	. .	9 „ 45	„	„
გურჯაანიდან	. .	10 „ 46	„	„
მელაანიდან	. .	12 „ 02	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 13	„	დღის
საგარეჯოდან	. .	2 „ 15	„	„
იორიდან	. . .	2 „ 53	„	„
ვაზიანიდან	. . .	3 „ 40	„	„
ნავთლუღ-კახეთ.	.	4 „ 31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.		4 „ 46	„	„
თბილისში მიდის	.	5 „ 01	„	„
წნორის-წყლიდან	.	9 ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან	. .	9 „ 46	„	„
გურჯაანში მოდის		10 „ 16	„	„

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ ყოფილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военнопленныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
>
> Suisse. Recommandée
>
> Comité International de la Croix Rouge.
>
> Agence des prisonniers de guerre Genève.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაისნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეს. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„ოოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ყორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

*) „საქართველო“ № 104.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.